



UNIVERSITY OF TARTU



2018 წლის 15-17 თებერვალს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

ტარტუს უნივერსიტეტი (ესტონეთი) და

სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი

აწყობს მესამე საერთაშორისო კონფერენციას თემაზე:

**მეორე ენის სწავლა/სწავლება**

**მულტილინგვური განათლების კონტექსტში**

კონფერენციის ჩატარების ადგილია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

*კონფერენცია დაფინანსებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ*





## კონფერენციის აღწერილობა:

---

მეორე ენის სწავლება და მულტიკულტურული ასპექტების კვლევა საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს, შესწავლილია არაერთი ქვეყნის გამოცდილება, გამოკვეთილია აქტუალური საკითხები და ჯერ კიდევ გადასაჭრელი პრობლემები. მულტილინგვური განათლების მიდგომები განსაკუთრებით აქტუალურია ისეთ ქვეყნებში, სადაც ეთნიკური უმცირესობები კომპაქტურად არიან დასახლებულები.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 25 წელზე მეტია გასული, ენობრივი პოლიტიკის თვალსაზრისით, მდგომარეობა, შეიძლება ითქვას, რომ კვლავ მძიმეა და სერიოზული რეფორმების განხორციელება დგას დღის წესრიგში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფო ენის სწავლების ხარისხის ამაღლება ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში.

2006 წლიდან განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაიწყო მთელი რიგი პროექტების განხორციელება რეგიონებში ქართული ენის სწავლების ხარისხის ამაღლების მიმართულებით. პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულები უმაღლესი სასწავლებლები, არასამთავრობო სექტორი, სამეცნიერო ინსტიტუციები. უცხოელ ექსპერტთა ჩართულობით მუშავდებოდა სწავლების სტრატეგიები, ხერხები და მეთოდები.

2010 წლიდან საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ამოქმედდა ქართულ ენაში მომზადების პროგრამები, რომელთა მიზანიც უმცირესობათა წარმომადგენელი აბიტურიენტების მხარდაჭერაა, რათა მათ შეძლონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არსებული ხარვეზების დამლევა (სახელმწიფო ენის სწავლა/სწავლების თვალსაზრისით) და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ქართულ ენაზე განათლების მიღება.

მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, სახელმწიფო ენის სწავლების მხრივ ჯერ კიდევ მიმდინარეობს ერთიანი ხედვის, მიდგომის შემუშავების რთული პროცესი, რაც საგანმანათლებლო სისტემის ყველა დონეზე (სკოლამდელი, ზოგადსაგანმანათლებლო, უმაღლესი...) მდგომარეობის გამოსწორებას ისახავს მიზნად.

ენის სწავლება, მით უფრო, ისეთ რთულ რეგიონებში, როგორებიც სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლია, მრავალ სპეციფიკურ ფაქტორს მოიცავს. ქართულენოვანი გარემოს არარსებობა და პოსტსაბჭოური დანატოვარი (იგულისხმება ხალხთაშორის ურთიერთობის

*კონფერენცია დაფინანსებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ*



ინსტრუმენტად რუსული ენის დომინირება) მოითხოვდა ახლებური, არასტანდარტული სტრატეგიის შემუშავებას, რომელიც დასავლურ ქვეყნებში უკვე აპრობირებულია და ეფექტურად მუშაობს.

ევროპისა და ამერიკის მთელ რიგ ქვეყნებში სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება მულტილინგვური განათლება (Multilingual education) - განათლება, რომლის დროსაც სწავლების ენად გამოიყენება რამდენიმე ენა: მშობლიური (პირველი) და არამშობლიური (მეორე, მესამე...). ამდენად, მულტილინგვური განათლება არის კომპლექსური სისტემა, რომელიც მრავალ განსხვავებულ ასპექტს მოიცავს. უნდა აღინიშნოს, რომ მულტილინგვური განათლების პრინციპებისა და მიდგომების დანერგვა დღეს ქართული საგანმანათლებლო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.

კონფერენციის მიზანია, განიხილოს და ერთიან კონცეფციად ჩამოაყალიბოს ადგილობრივ და უცხოელ სპეციალისტთა ნააზრევი მეორე ენის სწავლების მიდგომებისა და სტრატეგიების თაობაზე მულტილინგვური განათლების კონტექსტში:

- ერთი მხრივ, აუცილებლად გასათვალისწინებელია ის დიდი გამოცდილება, რაც არსებობს საზღვარგარეთის ქვეყნებში ამ მიმართულებით (თეორიული ასპექტები); კონფერენციასა და პლენარულ სესიებზე მომხსენებლებად მოწვეულნი არიან დარგის აღიარებული სპეციალისტები ესტონეთიდან (ტარტუს უნივერსიტეტი); გერმანიიდან (ფრაიბურგის პედაგოგიური უნივერსიტეტი), ლიტვიდან (ვილნიუსის უნივერსიტეტი), ლატვიიდან (ლატვიის უნივერსიტეტი), ფინეთიდან (ჰელსინკის უნივერსიტეტი), რომლებიც წარმოადგენენ როგორც კონცეპტუალურ მიდგომებს, ასევე საკუთარ პრაქტიკულ გამოცდილებას.

- მეორე მხრივ, ქართველი სპეციალისტები კონფერენციაზე სამსჯელოდ გამოიტანენ იმ ექსპერიმენტული პროექტებისა და აქტივობების ანგარიშებს, რომელთა ნაწილი უკვე განხორციელდა ან ამაჟამად მიმდინარეობს უმაღლეს სასწავლებლებსა თუ რეგიონების (ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთში) სკოლებში.

## კონფერენციის სამუშაო თემები:

---

*კონფერენცია დაფინანსებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ*





- მულტილინგვური განათლების თეორია და პრაქტიკა;
- ინტერკულტურული განათლების ასპექტები;
- მასწავლებელთა მომზადების მულტიკულტურული პროგრამები;
- მეორე ენის სწავლა/სწავლების მეთოდები და სტრატეგიები;
- უცხო ენის სწავლა/სწავლების მეთოდები და სტრატეგიები;
- ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება;
- ელექტრონული/დისტანციური სწავლების ასპექტები და მულტიმედია მეორე ენის სწავლა/სწავლების კონტექსტში;
- ენობრივი პოლიტიკის დაგეგმვა და მისი მნიშვნელობა მულტიკულტურული განათლებისა და მეორე ენის სწავლების თვალსაზრისით;
- კლასის მართვა და ენის სწავლება;
- ენის სწავლების სოციოკულტურული და პრაგმატული ასპექტები; სოციოკულტურული კომპეტენციის მნიშვნელობა და მისი დაუფლების სტრატეგიები და მეთოდები;

### კონფერენციის სამუშაო ენები:

---

კონფერენციაში მონაწილეობის მსურველებმა თეზისები უნდა გამოაგზავნონ როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე.

### მნიშვნელოვანი თარიღები:

---

*კონფერენცია დაფინანსებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ*



UNIVERSITY OF TARTU



თეზისების წინასწარი გადმოგზავნა: 15 დეკემბერი, 2017 წელი;

თეზისების რეცენზირება: **15** დეკემბერი, **2017** წელი - **10** იანვარი, **2018** წელი;

ინფორმაცია თეზისების მიღების შესახებ: 11 იანვარი, 2018 წელი;

მიღებული თეზისების ჩასწორება: **15-20** იანვარი, **2018** წელი;

გამოსაცემად შერჩეული მოხსენებების გადმოგზავნა: 1 მარტი, 2018 წელი;

*დაგვიანებით გამოგზავნილი თეზისები არ მიიღება.*

## რეგისტრაცია:

---

თეზისების ატვირთვა შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: [www.seltame.ge](http://www.seltame.ge)

კონფერენცია არ ითვალისწინებს სარეგისტრაციო თანხის გადახდას.

## თეზისების გაფორმება:

---

ფონტის ზომა: 11

ფონტი: ქართული ტექსტისთვის - Sylfaen; ინგლისური ტექსტისთვის - Times New Roman;

სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა: 500;

გთხოვთ ასატვირთი ფაილი გადმოგვიგზავნოთ pdf ფორმატით. ატვირთულ ტექსტში არ უნდა იყოს მითითებული ავტორის სახელი და გვარი. თეზისებს უნდა ახლდეს საკვანძო სიტყვების ჩამონათვალი არაუმეტეს ხუთისა.

*კონფერენცია დაფინანსებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ*





## თეზისების რეცენზირება:

---

რეცენზირების პროცესი ანონიმურია. თითოეული ნაშრომი გაივლის ორმაგ რეცენზირებას.

## პლენარული მომხსენებლები:

---

**ოლივე მენცი**, პროფესორი, ფრაიბურგის პედაგოგიური უნივერსიტეტი, კულტურისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი, გერმანია.

**ეკატერინა პროტასოვა**, დოქტორი, ჰელსინკის უნივერსიტეტის მკვლევარი, ფინეთი.

**ვილია თარგამაძე**, ვილნიუსის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის განათლების დეპარტამენტის პროფესორი, ვილნიუსის პედაგოგიური უნივერსიტეტის პროფესორი, ლიტვა.

**ლიგია გრიგულე**, ლატვიის უნივერსიტეტი, პედაგოგიკის ფსიქოლოგიისა და ხელოვნების ფაკულტეტი, პროექტების კოორდინატორი, ლატვია.

**კერსტი ლაპაიოე**, დოქტორი, ტარტუს უნივერსიტეტი, უცხოური ენებისა და კულტურების კოლეჯის დირექტორი, ესტონეთი.

**პილე პოიკლივი**, დოქტორი, ესტონეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მთავარი ექსპერტი, ესტონეთი.

**ინგა პავულა**, ლატვიის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მასწავლებელთა გადამზადების კომპონენტის ხელმძღვანელი, ლატვია.

**შალვა ტაბატაძე**, განათლების მეცნიერებების დოქტორი, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათმორისი ურთიერთობების ცენტრის ხელმძღვანელი.

**კახა გაბუნია**, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

*კონფერენცია დაფინანსებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ*



UNIVERSITY OF TARTU



გიული შაბაშვილი, ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

### საკონტაქტო ინფორმაცია:

---

დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ ჩვენს ვებგვერდს: [www.seltame.ge](http://www.seltame.ge);

შეკითხვების შემთხვევაში მოგვმართეთ: [seltame@tsu.ge](mailto:seltame@tsu.ge).

საკონტაქტო პირები:

გიული შაბაშვილი (თსუ)

ნინო კვირიკაშვილი (თსუ)

კეტლინ ლეჰისტე (ტარტუს უნივერსიტეტი)

*კონფერენცია დაფინანსებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ*

